ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№8(112)
აგვისტო
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

# დიდება გმირებს!

2

რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციიდან 15 წელი გავიდა. ხელისუფლების წარმომადგენლებმა პატივი მიაგეს ომში დაღუპულთა ხსოვნას

## მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს

3

## ნუგზარ ფსუტური – განუმეორებელი მოვლენა ქართულ ხალხურ საშემსრულებლო ხელოვნებაში

4

## მშვიდობით!

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება თანამშრომლის – ლარგვისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის

**მურაზ შერმადინის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

## ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანსიები ახალი კადრებით შეივსო

3

## გამოცხადდა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერისთვის

5

## რა შემთხვევაში მიიღებს აღსაზრდელებს წერეთვნის ბაგა-ბაღი ახალი სასწავლო წლიდან

5

## მომავალ ლიდერთა გაცვლით პროგრამაზე რეგისტრაცია დაიწყო - ისწავლე ამერიკულ სკოლებში და იცხოვრე ამერიკულ ოჯახებში

4

# აგვისტოს ომის 15 წლისთავი

**2008 წლის აგვისტოს ომის მე-15 წლისთავთან დაკავშირებით, ახალგორის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გვირგვინებით შეამკო მუხათგვერდის ძმათა სასაფლაო და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ეზოში მდებარე ლევან მიდელაშვილის მემორიალი და პატივი მიაგო აგვისტოს ომის გმირთა ხსოვნას. ცერემონია გაიმართა მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ დავით ნოზაძესთან, მის მოადგილეებთან,მცხეთის საკრებულოს დეპუტატ ჯონი ბაშარულთან, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერთან და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ადგილობრივ წარმომადგენლებთან ერთად.**

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველომ თავდაცვის სამინისტროს 170 თანამშრომელი, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 თანამშრომელი და 228 მშვიდობიანი მოქალაქე დაკარგა. დაჭრილი და დაშავებული მშვიდობიანი მოქალაქეებისა და სამხედრო პირების რაოდენობამ 2 232 შეადგინა.

რუსეთისა და ცხინვალის რეგიონში მისი მარიონეტების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შედეგად 30 000-ზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა საკუთარი სახლები დაეტოვებინა. მათი სახლების აბსოლუტური უმრავლესობა მოძალადეებმა დაწვეს, რათა მათი პატრონები უკან აღარასდროს დაბრუნებულიყვნენ.

ომის დაწყებამდე თვეებით ადრე, ისევე როგორც საომარი მოქმედებების დროს, რუსეთი ჰიბრიდული ომის სხვადასხვა ტაქტიკას იყენებდა, როგორიცაა საინფორმაციო ოპერაციები, ენერგეტიკა, ეკონომიკური და სავაჭრო შანტაჟი, კიბერშეტევები, ოკუპირებულ ტერიტორიების მოსახლეობის „პასპორტიზაცია“ და სხვა.

რუსეთის ფედერაციის მაშინდელმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა, ასევე მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა მოგვიანებით აღიარეს, რომ რუსეთის მთავრობამ საქართველოში შეჭრა 2006 წლის ბოლოს დაგეგმა, რათა ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციისთვის შეეშალა ხელი.

აგვისტოს ომიდან მალევე, რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა აღიარა და ცდილობს, თუმცა წარუმატებლად, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ მათი „დამოუკიდებლობის“ აღიარებასაც მიაღწიოს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ტერიტორიის 20%-ზე მეტი კვლავ ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ. რუსეთს დღემდე არ შეუსრულებია ცეცხლის შეწყვეტის 6-პუნქტიანი შეთანხმება, რომელიც ევროკავშირის შუამავლობით იქნა მიღწეული. მეტიც, საოკუპაციო რეჟიმი აგრძელებს საოკუპაციო ხაზის გადმოწევას (ე.წ. ბორდერიზაციის პროცესი) საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, თემების მავთულხლართებით დაყოფას, ადგილობრივი მშვიდობიანი მოსახლეობის უკანონო დაკავებებსა და გატაცებებს, ასევე საოკუპაციო რეჟიმის მილიტარიზაციას.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის უფლებები ყოველდღიურად ილახება. მათ შეზღუდული აქვს ადამიანის ძირითადი უფლებები, მათ შორის გადაადგილების თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების თავისუფლება და ა.შ.

აგვისტოს ომის მე-15 წლისთავს გამოეხმაურა საერთაშორისო საზოგადოება. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი წერს: „დღეს 15 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა საქართველოში და მოახდინა მისი მიწის 20%-ის ოკუპაცია. რუსეთი კვლავ უარს აცხადებს ცეცხლის შეწყვეტის 2008 წლის ვალდებულებების შესრულებაზე. აშშ მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს“. ლიეტუვის პრემიერ-მინისტრი, ინგრიდა შიმონიტე კი აღნიშნავს: „15 წლის წინ რუსეთი საქართველოში შეიჭრა და ამისთვის არ დასჯილა. ამას რუსული აგრესიის კიდევ უფრო სასტიკი ქმედებები მოყვა. ლიეტუვის მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ ურყევია. ამასთან, გვჯერა, რომ ერთადერთი გზა უსაფრთხო ევროპისკენ უკრაინის გამარჯვებასა და აგრესორებისთვის ტრიბუნალზე გადის“.

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
**რედაქტორი ანა ყურშავიშვილი**
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

# მთავრობის სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 15 აგვისტოს ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ინფლაციის დაბალი დონე და ბიუჯეტის შესრულების დინამიკა. როგორც ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა აღნიშნა, ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.3 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის 6 თვის მაჩვენებლების მიხედვით კი ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა.

მთავრობის მეთაურმა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ მოისმინა ინფორმაცია. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, სამინისტრომ 2023 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტი 13.5%-ის ანუ 1 331.1 მლნ ლარის გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარეობს 203 კმ მაგისტრალური გზების მშენებლობა, რომლის გახსნაც, ეტაპობრივად, 2023 -2024 წლებშია დაგეგმილი. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს 1800 კმ-მდე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. 167 მდებარეობაში მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების, 3 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების, პროექტები. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიმდინარეობს ახალციხის, ზუგდიდის, სოფელ არხილოსკალოს, ბოლნისის, წნორის სპორტული კომპლექსებისა და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზების მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა რუსთავის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაწყებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 130 ახალი ბაღის მშენებლობაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და ტენდერების გამოცხადება გრძელდება.

სხდომაზე განიხილეს 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის მასშტაბური, 1 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტი, რომელიც ასევე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაიწყო. პროექტის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს 80 ახალი სკოლის მშენებლობისა და 200 სკოლის რეაბილიტაციის პროცესი. მომდევნო ეტაპი 2024 წელს დაიწყება და 2026 წლის ბოლოსთვის დასრულდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობა-გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაწყებული ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი 5 წლიანი პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე შერჩეული 11 მდებარეობის განვითარებისთვის, გამოცხადებულია 8 ტენდერი.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ტურიზმის მიმართულებით არსებული დადებითი ტენდენციები. როგორც ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, 2023 წლის I-II კვარტალში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის მაჩვენებელს გადააჭარბა და რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 1,804,529,935 აშშ. დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 123.9% აღდგენაა. 2022 წელთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები 57.9%-ით არის გაზრდილი. მთლიანობაში, 2023 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 1.8 მლრდ დოლარის შემოსავალი მიიღო.

ასევე განიხილეს ახალ ავიამიმართულებათა დამატებისა და ჩინეთთან ფრენების ინტენსივობის გაზრდის შესაძლებლობები. აღინიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყანასთან ფრენების ინტენსივობის გაზრდა და ახალი ავიამიმართულებების დამატება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმისა თუ ავიაციის სექტორის განვითარებას.

სხდომაზე მსხვილი ეკონომიკური პროექტების მიმდინარეობასა და ამ მიმართულებით სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებზე იმსჯელეს.

## ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანსიები ახალი კადრებით შეივსო

2023 წლის ივნისში გამოცხადებული კონკურსის შედეგად, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში ვაკანტურ თანამდებობებზე ახალი კადრები დაინიშნენ: **გვანცა ამირანაშვილი** – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსად; **ანჟელა ჭაავა** – იურიდიული სამსახურის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად; **თამთა პავლიაშვილი** – მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

ვულოცავთ ახალ თანამშრომლებს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნას და ვუსურვებთ ნაყოფიერ და წარმატებულ მუშაობას.

ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა კვლავაც ორიენტირებული იქნება კვალიფიციური, მოტივირებული და შრომისმოყვარე კადრების დასაქმებაზე.

## ნუგზარ ფსუტური — განუმეორებელი მოვლენა ქართულ ხალხურ საშემსრულებლო ხელოვნებაში

წელს, 19 აგვისტოს, 76 წლის გახდებოდა ახალგორის ფოლკლორულ ანსამბლ „ლომისის“ ხელმძღვანელი, ანსამბლ „კოლხეთის“ სოლისტი, მომღერალი და კომპოზიტორი ნუგზარ ფსუტური. იგი 2012 წლის თებერვალში გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ.

ნუგზარ ფსუტური ანსამბლ „ლომისს“ 2000 წლიდან ხელმძღვანელობდა. ანსამბლის ძირითადი რეპერტუარი ქართლ-კახური და მთის სასიმღერო ფოლკლორული ნაწარმოებებისგან შედგება.

**„ნუგზარ ფსუტური განუმეორებელი მოვლენაა ქართულ ხალხურ საშემსრულებლო ხელოვნებაში. ეს განუმეორებლობა მისი ცხოვრების წესშიც იჩენს თავს. მრავალწახნაგოვანია მისი შემოქმედება: ნუგზარი სოლისტი, მომღერალი, ნუგზარი უბადლო პარტნიორი, შესანიშნავი ლოტბარი, ბრწყინვალე სელექციონერი და შესანიშნავი თვითმოქმედი კომპოზიტორი, რომლის სიმღერებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საქართველო დიდი სიყვარულით მღერის და ბევრს იგი ხალხური ჰგონია” – კომპოზიტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გომარ სიხარულიძე.**

**„ნუგზარ ფსუტური ეტალონი ადამიანი იყო. ჯერ იყო ადამიანი და შემდეგ ხელოვანი. იგი იყო მაგალითი იმის, თუ როგორი თავმდაბალი და უბადლო შეიძლება იყოს უდიდესი ხელოვანი. ნუგზარ ფსუტურის გარდაცვალება ქართული სიმღერისთვის უდიდესი დანაკლისია. წალენჯიხის სახალხო ანსამბლი „ბედინერა“, წალენჯიხელის მოსახლეობის სახელით ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღირსეული ქართველის, ნუგზარ ფსუტურის გარდაცვალების გამო... ქართველი ერი მუდამ მიაგებს პატივს მის ნათელ ხსოვნას.“**

**„ნუგზარ ფსუტურის გარდაცვალება ქართული სიმღერისთვის უდიდესი დანაკლისია. მას ბევრი ლამაზი სიმღერა დარჩა დასაწერი”, – გელა დაიაური.**

ეს უმცირესი ნაწილია იმ გამოხმაურებებისგან, რაც მომღერლის მოულოდნელ გარდაცვალებას მოჰყვა.

ნუგზარ ფსუტური დაჯილდოებული იყო ღირსების მედლით ქართული ფოლკლორის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. მის ხსოვნას მიეძღვნა მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემული წიგნი „იცნოს სოფელმან – ნუგზარ ფსუტური“, რომელიც ლიტერატურული საზოგადოება „ვერკვლისციხელისა“ და ნუგზარ ფსუტურის ოჯახის ერთობლივი ნამუშევარია.

## მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამაზე რეგისტრაცია დაიწყო - ისწავლე ამერიკულ სკოლებში და იცხოვრე ამერიკულ ოჯახებში

**უკვე, ოცდაათ წელზე მეტია, რაც მომავალ ლიდერთა გაცვლითი პროგრამა შესაძლებლობას აძლევს ქართველ უფროსკლასელებს ისწავლონ ამერიკულ სკოლებში და იცხოვრონ ამერიკულ ოჯახებში. პროგრამას აფინანსებს ამერიკის მთავრობა და ადმინისტრირებას უწევს საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოები.**

გაცვლით პროგრამაზე რეგისტრაცია წელსაც მიმდინარეობს. პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასის, 2007 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 16 ივლისამდე დაბადებულ ოსწავლეებს, რომელთაც ბოლო 5 წლის მანძილზე არ უცხოვრიათ აშშ-ში 3 თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ირიცხებიან და სწავლობენ სკოლაში, საქართველოში და ფლობენ ინგლისურ ენას.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ ყველა უფროსკლასელს, რომელიც აკმაყოფილებს პროგრამის კრიტერიუმებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს (შშმპ). ასაკობრივი და სასკოლო კრიტერიუმი ასეთი პირებისათვის განსხვავებულია: მე-8, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლე და 2006 წლის 15 თებერვლიდან 2009 წლის 15 ივლისამდე დაბადებული.

2023-2024 წლისთვის პირველი და მეორე ეტაპი ჩატარდება ონლაინ, 2023 წლის 1 აგვისტოდან 28 სექტემბრამდე. ნახევარფინალი კი ჩატარდება ლაივ-რეჟიმში, რაც გულისხმობს-პირად გასაუბრებასა და ტესტირებას. მსურველებს პროგრამის შესარჩევ ეტაპებზე მონაწილეობა შეუძლიათ ნებისმიერი რეგიონიდან, სადაც ხემისაწვდომია ინტერნეტი ან არის ტელეფონის/კომპიუტრის გამოყენების შესაძლებლობა.

I რაუნდი ჩატარდება აგვისტოში. იგი მოიცავს ონლაინ აპლიკაციასა და 3 ესსეს კითხვებს, რომლებიც უნდა ჩაბარდეს აპლიკაციის დაწყებიდან 10 დღეში. მონაწილეობის მისაღებად უნდა შეხვიდეთ ბმულზე: https://ais.americancouncils.org/flex

II რაუნდში, აპლიკაციის ეტაპის გავლის შემდეგ შერჩეული მონაწილეები დაწერენ ინგლისური ენის ონლაინ ტესტს. ფინალური რაუნდი რაუნდი მოიცავს პირისპირ გასაუბრებას, 2 ესსეს კითხვას, ინგლისური ენის გაძლიერებულ ტესტს და სრულ აპლიკაციას.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა საფეხურს წარმატებით გადალახვის შემთხვევაში მოსწავლეები ინფორმაციას ამერიკული საბჭოების საქართველოს ოფისიდან მიიღებენ.

# რა შემთხვევაში მიიღებს აღსაზრდელებს წეროვნის ბაგა-ბაღი ახალი სასწავლო წლიდან

**წეროვნის დევნილთა დასახლებაში არსებული ბაგა-ბაღი ახალი სასწავლო წლის დადგომამდე განცხადებას ავრცელებს სიახლეების შესახებ.**

საქართველოს კანონის „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" მე-3 თავის მე-14 მუხლის შესაბამისად, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების განსახორციელებლად დაწესებულება ვალდებულია, გაიაროს ავტორიზაცია.

ამ მიზნით, საქართველოს მთავრობამ 2023 წლის 21 თებერვალს მიიღო დადგენილება N76 „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ." დადგენილებაში ჩამოყალიბებულია მოთხოვნები დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობის შესახებ. აღნიშნულ მოთხოვნებს არ შეესაბამება წეროვნის ბაგა-ბაღის შენობა, რის გამოც იგი შეყვანილია სარეაბილიტაციო ობიექტების ნუსხაში. რეაბილიტაციას ახორციელებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამ ეტაპზე ველოდებით ტენდერის შედეგებს და სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებას. აქედან გამომდინარე, ახალ 2023-2024 სასწავლო წლიდან, წეროვნის ბაგა-ბაღში სასწავლო პროცესი არ დაიწყება.

დღეის მდგომარეობით, წეროვნის ბაგა-ბაღში 222 აღსაზრდელია. ამ რაოდენობის ბავშვთა განთავსების ალტერნატიული საშუალებები არ გაგვაჩნია.

**ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან შეთანხმებით გადაწყდა, რომ წინასასკოლო (გამოსაშვები ჯგუფები) ასაკის ბავშვების მიღება მოხდეს წილკნის ბაგა-ბაღში. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

შესაბამისად, წეროვნის ბაგა-ბაღის გამოსაშვები ჯგუფების აღსაზრდელთა მშობლებს, ვისაც სურვილი აქვს მომავალი სასწავლო წლიდან ბავშვები მიიყვანონ წილკნის ბაგა-ბაღში, ვთხოვთ, განცხადებით მიმართონ წეროვნის ბაგა-ბაღის ადმინისტრაციას. მშობლის წერილობითი განცხადების გარეშე ბავშვის გადაყვანა წილკნის ბაგა-ბაღში არ მოხდება.

რაც შეეხება სხვა ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელებს, მშობლებმა ინდივიდუალურად უნდა გამონახონ ბავშვების სხვა ბაგა-ბაღებში დროებითი გადაყვანის გზები.

იმ შემთხვევაში, თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები გადაიდო 2024-2025 სასწავლო წლისთვის, წეროვნის ბაგა-ბაღი მიმდინარე წლის 15 სექტემბრიდან ჩვეულ რეჟიმით დაიწყებს მუშაობას.

## გამოცხადდა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერისთვის

იძულებით გადაადგილებულ პირებს პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერისა და შემოსავლის წყაროს გაჩენის მიზნით, ხელსაწყოები და ტექნიკა გადაეცემათ.

პროგრამაში ჩართვა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულ იძულებით გადაადგილებულ პირებს და იმ დევნილებსა და ეკომიგრანტებს შეუძლიათ, რომელთა პროფესიული საქმიანობა რაიმე სახის დოკუმენტით დასტურდება.

დევნილები და ეკომიგრანტები 2000 ლარის ღირებულების სახელობო იარაღებს, რაც მათ საქმიანობის წამოწყებასა თუ გაფართოებაში დაეხმარებათ თავადვე შეარჩევენ. ამ ეტაპზე, პროგრამის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული 80-მდე პირი დაფინანსდება.

დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://idp.moh.gov.ge

## თუ პროფესიულ პროგრამაზე სწავლა გადაწყვიტეთ...

დასრულდა ეროვნული გამოცდების ციებ-ცხელების დღეები. აბიტურიენტები მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობენ, თუმცა საჯარო სკოლების ბევრმა კურსდამთავრებულმა პროფესიული განათლების მიღება გადაწყვიტა. მათ მრავალფეროვანი არჩევანი აქვთ, სად გააგრძელიონ სწავლა... ამაში სწავლის მსურველებს მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს კატალოგი, სადაც ჩამოთვლილია 2023 წლის ავტორიზებული პროფესიული პროგრამები.

კატალოგის ნახვა ელექტრონულად არის შესაძლებელი ვებგვერდზე: https://bit.ly/3YHmkl8.

რეგისტრაცია 10 სექტემბრამდეა.

## საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური პაციენტებისთვის, სრულფასოვან მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.

ჰორმონოთერაპია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია და მედიკამენტები, ქვეყნის მასშტაბით, ყველა ონკოლოგიურ პაციენტს დაუფინანსდება. მათ შორის არიან ის პაციენტებიც, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარზე მეტია. ცვლილებამდე, მათ აღნიშნულ მომსახურებები არ უფინანსდებოდათ. სიახლე შეეხებათ დაზღვეულ ვეტერანებსაც.

აღნიშნული გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, თითოეული ბენეფიციარისთვის, მათი შემოსავლის მიუხედავად, თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება.

# დაცხრილული მზე

*ანა ყურშვიშვილი*

იბეჭდება შემოკლებით

გადაბუგულ-გადამწვარი სოფლის ორღობეში მიდიოდა. ქალი. ნასახლარებს ჭურვებდაცემული, დაჩეხილი, გატრუსული, დანახშირებული ვაშლის ჯუჯა ხეები ყარაულობდნენ მდუმარედ.

მიდიოდა ოდნავ მხრებში მოხრილი, თავჩაქინდრული. გადაბუგული, კიბეებაყირავებული ნასახლარებიდან ჩუმზე ჩუმი მოთქმა-ტირილი ისმოდა. ზოგი ნაცნობი, ზოგი უცნობი, მაგრამ სადღაც მოსმენილი, ძალიან ახლობელი.

მიდიოდა პირგამშრალი, ცრემლდაწრეტილი, თვალებჩამოღამებული. მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: როგორმე სასაფლაომდე მიეღწია, თუნდაც თვალი შეევლო დედის საფლავისათვის.

***

თბილისიდან ხაშურის სამარშრუტო ტაქსს გაჰყვა ერედვისაკენ. როგორ არ ეხვეწა და, ნორა: ცოტა დაისვენე, ამოისუნთქე და მერე წადიო, მაგრამ თავისი არ დაიშალა.

„რუსეთის ფედერაცია“ - დიდი ასოებით ეწერა ერედვის გადასახვევთან.

საგუშაგოსთან ფეხებში ძალა გამოეცალა.

ვინა ხარო, შეაჩერეს ჯიქურ მიმავალი.

პასუხი არ გასცა, გზა განაგრძო. ისევ შეაჩერეს.

ქალმა თვალებში შეხედა ნიღბოსან ჯარისკაცებს.

- დედა არა გყავთ?

- ჩტო, ჩტო? - ჩაეკითხნენ ჯარისკაცები.

- დედა არა გყავთ-მეთქი?

ქართულისა ინჩიბინჩი არ იცოდნენ. ერთმანეთს გადახედეს, მერე პასპორტი მოსთხოვეს.

- წადი. - ავტომატის კონდახი მიადო ცისფერთვალამ მორკალულ მხარზე.

ქალს შიში შეეპარა. „რამდენიმე ნაბიჯს გადავდგამ და ზურგში მესვრიან“, - გაუელვა თავში, მაგრამ არ განძრეულა.

- წადი! - თვალები დაუბრიალა ჯარისკაცმა და ავტომატი შეაყენა.

ირგვლივ ადამიანის ჭაჭანება არ იყო. იდგა მეხდაცემულივით და გადაბუგულ სოფლებს უყურებდა.

ჯარისკაცებმა ერთმანეთს შეხედეს.

- თუ არ წახვალ, უკან გაბრუნდი. - თითქოს მოლბა ჯარისკაცი. - ნუ გეშინია, არ გესვრი. - ისევ კბილებში გამოსცრა.

ქალმა ნაბიჯს აუჩქარა, მალ-მალე იხედებოდა უკან. თანდათან დაპატარავდნენ ჯარისკაცები.

***

ერედვი - პატარა ლიახვის ხეობაში ყველაზე დიდი სოფელი - დამწვარი, დაბუგული, მიწის პირისგან აღგვილი დაუხვდა. დიდი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი ამ სოფელზე ამბობდა: „ერედვი - ქართლის მერვედიო“.

გასაბჭოებამდე სოფელს ფავლენიშვილების გვარი მწყემსავდა. ბევრ მათგანს განათლება პარიზსა და პეტერბურგში ჰქონდა მიღებული. ფავლენიშვილები უფრო მეტად სასულიერო სფეროში იყვნენ დაკავებულნი.

ცრემლჩამომდინარე დახვდა ერედვის წმინდა გიორგის სახელობის უძველესი ქართული ეკლესია. ეკლესიის გარშემო და ეზოშიც დიდი კაკლის ხეები იდგა. ეზოში ვეება, მასური ქვა-ლოდი იდო, რომელიც, დანთებული სანთლის ნაღვენთით, ერთიანად იყო გაპოხილი, ღვთის მადლით.

ზემოთ ოსებით დასახლებული სოფლები მოჩანდა. ზღვას გამოვექეცი და ცვარმა არ დამახრჩოსო, გაიფიქრა. მთებს გახედა. მუხლებში სისუსტე იგრძნო. კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მშრომელი, ხელისგულებდაკოჟრილი, მუხლჩაუხრელი ადამიანები გამქრალიყვნენ ქართლის ბარაქიანი ველ-მინდვრებიდან და ხეხილის ბაღებიდან.

წამოჟინჟღლა. გზის პირას, მაღლობზე მდგარ, ფანჯრებჩალეწილ სახლთან გაჩერდა. ბინდი ეპარებოდა სოფელს... წვიმას ქარიც მოჰყვა. შესცივდა.

ეზოს კარი ღია იყო. შევიდა. დაღამებამდე მაინც ვერ მიაღწევდა სასაფლაომდე. გადაწყვიტა, ამ სახლში გაეთენებინა ღამე, წვიმას მაინც გადაურჩებოდა.

შემოდგომის ცრიატ დღეებს ყვითელი ფოთლებით აევსო თითქოს თვალებდათხრილი სახლის ეზო.

სახლის კარიც ღია დაუხვდა. ქურდული ნაბიჯებით შევიდა. შესასვლელში ათასი რამ ეყარა: ლოგინი, ჭურჭელი, ტანსაცმელი... მისწი-მოსწია და ჩამოჯდა. თან გზისკენ რჩებოდა თვალი, ვაითუ, ის რუსი ამედევნაო...

სიცივემ აიტანა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დილამდე უნდა გაეძლო. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა, წვიმის წყალი სახლშიც ჩამოდიოდა. მშრალი ადგილი შეარჩია, ნაპოვნი საბნის ნაგლეჯი მხრებზე შემოიხვია და ადგილზე მოძრაობა დაიწყო...

ირიჟრაჟა თუ არა, ცა მოიწმინდა.

ქალმა თვალები გაახილა, გაუკვირდა, რამ დამაძინაო. ცას ახედა. უცნაური ეჩვენა მზე. თითქოს ტყვიებს და ჭურვებს მზეც დაეცხრილა, სიკაშკაშე დაჰკარგოდა. გადაბუგულ-გადამწვარ ქართლში მზეღა იყო იმედი. ვედრებით შეხედა. ცრემლები წამოსცვივდა. მზე, თითქოს უძლური სხივებით, გერის ეკლესიის ქონგურებს მიელამუნა, მერე ერთბაშად აბრჭყვიალდა.

დაცხრილული მზის ერთმა სხივმა ეზოს ღია კართან, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე, ყვითელი ფოთლები ააბრჭყვიალა, მერე სისხლისფრად აელვარდა და გადაიკარგა.

კართან თითქოს ვიღაც თუ რაღაც იწვა. ადამიანს ჰგავდა. მკლავები განზე გადაეყარა. მძინარე არ უნდა ყოფილიყო.

ქალს გააჟრჟოლა.

აღმართზე „ბეტეერი“ მოქშინავდა. კედელს მოეფარა. საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა.

„ბეტეერმა“ აიარა. ქალი სამალავიდან გამოვიდა. თვალს ვერ აშორებდა ფოთლებდაყრილ, უფორმო სხეულს, მკლავები, მკლავები კი ნათლად გაარჩია. ახლოს მივიდა. მიწაზე რუსი ჯარისკაცი იწვა, ღია თვალებით დაცხრილული მზისკენ იყურებოდა.

- ვაი შენს დედას, შვილო! - აღმოხდა ქალს და ჩაიმუხლა. - უბედური დედაშენი, შვილო-ო!

სიმმწრისაგან მოიკრუნჩხა. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მიცვალებული გაეპატიოსნებინა. ოცი წლისაც არ იქნებოდა, ბავშვივით იყო. სახლში შებრუნდა. ჩანგრეულ იატაკზე დაყრილ ნივთებს დასწვდა. რაღაცას ეძებდა. ადიელა იპოვა...

მიცვალებულს მიუახლოვდა. ფოთლები მოაშორა, გარშემო მოუსუფთავა. ხელები უკანკალებდა, მუხლები ეკეცებოდა. ჯარისკაცს გულთან გაგლეჯილ სამხედრო ხალათზე სისხლი შეხმობოდა. ადიელა გადააფარა. ცოტა შეისვენა, ამოისუნთქა.

ახლა ადიელაზე აციმციმდნენ დაცხრილული მზის სხივები.

გადაწყვიტა, ბარი ეპოვა და იქვე, ვაშლის ძირში, ორიოდე პარის პირზე მაინც, საფლავი გაეთხარა...

რობოტივით მოქმედებდა.

„სად გაგონილა, მტრის მიცვალებული დავმარხო, იქნებ სულ ახლოს ჩემი სისხლი და ხორცია, სწორედ ამისი ხელით დაცხრილული... რუსს ქართველი მოჰ კლავდა, ან ოსი... მაშ, ვინ?! ვაი, მოტყუებულო ბიჭებო... იქნებ ამ ჯარისკაცმა, სწორედ ამან ამოწყვიტა ამ სახლის ბინადარნი, ღმერთო, მიშველე, ღმერთო, ძალა მომეცი...“

ისევ „ბეტეერის“ ხმა მოესმა. კედელს მოეფარა. „ბეტეერი“ ეზოს ღია კართან შეჩერდა. ორი სამხედროფორმიანი გადმოხტა და ეზოში შემოვიდა. ერთმა ავტომატი მოიმარჯვა. მიმოიხედა. ადიელაზე შეაჩერა მზერა. მერე ავტომატის ჯერი მიუშვა.

„ქართველი დაჭრილი ჰგონიათ“, - ისევ გააჟრჟოლა ქალს. ავტომატის ჯერი აქამდე კინოში თუ ენახა. სუნთქვა შეეკრა. შიშით ყურებზე ხელი აიფარა.

„ბეტეერი“ დაიძრა. ეზოს კარისკენ გახედვაც აღარ შეეძლო... ვერ გაარჩია, „ბეტეერში“ რუსები ისხდნენ თუ ოსები.

სახლს სამი კარი ჰქონდა, ჩამოლეწილიყო ყველა. ეტყობოდა, სახლს ჭურვი დასცემოდა. აქა-იქ დანახშირებული ნივთები ეყარა. გვერდით ოთახში შევიდა. მიათვალიერ-მოათვალიერა. აქაც ერთმანეთში არეულიყო ყველაფერი. ფრთხილობდა... თავისი ფეხის და სხეულის მოძრაობაც აკრთობდა.

რაღაც უცნაური შარიშური მოესმა. შეცბა. სუნთქვა შეეკრა. მიმოიხედა. მის გარდა, არავინ იყო. შეიძლება, ქვეწარმავალი შემოძვრაო, გაიფიქრა. ბავშვობაში გაგონილი ჰქონდა, ყველა სახლის ფუძეს თავისი გველი ჰყავსო, თურმე, მოკვლა არ შეიძლებაო.

ისევ შეინძრა რაღაც. ადგილიდან ვერ იძვროდა. გაინაბა. სმენად იქცა. თვალები გაუფართოვდა, ისევ შეიკრა სუნთქვა. დაიხარა. იატაკზე დაყრილი ტანსაცმლის ქვეშიდან სუნთქვა ისმოდა. სუნ-თქვა!

ფრთხილად დაიხარა, თბილ სხეულს შეეხო. მუხლები უფრო თბილი ჰქონდა. მისწი-მოსწია ტანსაცმელი. პატარა თითები, ცივი, გალურჯებული... ღმერთო, მიშველეო, გამურულ-გაჭვარტლულ ჭერს ახედა. თერთმეტიოდე წლის გოგონა სუნთქავდა მძიმე-მძიმედ. თითები გაყინული ჰქონდა, ფეხებიც.

უჩინარმა ძალამ, ძალამ კი არა, საოცარმა სიძლიერემ შეიპყრო. გოგონას თავი წამოუწია. გულში ჩაიხუტა. ხელ-ფეხი დაუზილა. გულმკერდიდან ჩაფხრეწილი თხელი კაბა გაუსწორა. ჟაკეტი გაიხადა, ჩააცვა. ლოყები, ყურისძირები დაუზილა. ლოყაზე მოუტყაპუნა კიდეც, გოგონა, გოგონა, თვალი გაახილეო, ჩასძახა... წვალებით აიყვანა, საბნის ნაგლეჯები მოაგროვა, ზედ დააწვინა, ფეხები დაუთბუნა. ბავშვს ხელის თითები ოდნავ გადაუსხვაფერდა. მეორე ოთახში გავიდა, ეგებ წყალი ვიპოვოო. მაგიდაზე ჯამი იდგა, წვიმის წყლით სავსე. გაუხარდა. გოგოსთან დაბრუნდა, ცალი ხელით თავი წამოუწია, მეორეთი ჯამიდან წყალი ამოიღო და გოგონას შეასხა სახეზე.

სახე შეირხა... ქუთუთოები ამოძრავდნენ... ქალი სიხარულით ცას ეწია. კიდევ შეასხა წყალი. პირი გააღებინა და ერთი-ორი ყლუპი ძალით ჩაასხა.

გოგონამ თვალები გაახილა.

- მი-შვე-ე-ლეთ... - თქვა და ისევ დახუჭა თვალები. მიშველეთო?!

ქალი აფორიაქდა. გოგონა ცოცხალი იყო, მაგრამ რა ეშველა?! როგორ ეშველა, რა შეეძლო? მთელი სახლის ნანგრევები დაირბინა. გაახსენდა, ჩანთაში საგულე საშუალება და ნიშადურის სპირტი რომ ედო. ჯერ სპირტი შეასუნთქა, მერე აბიც გადააყლაპა, წვიმის წყალიც მიუმარჯვა. გულზე ნაპოვნი ღვთისმშობლის ხატი დაადო.

გოგონამ ისევ გაახილა თვალები - დიდრონი, ზურმუხტისფერი, მაგრამ მიმქრალი.

- რა გქვია? - ჰკითხა უნებურად ქალმა.

- აა...ნა...

- რას ამბობ! დედაჩემის მოსახელე ყოფილხარ.

- დედა სად არის? - იკითხა ანამ სუსტი ხმით.

- დედა? ხო... ყველანი წავიდნენ... ცოცხლები არიან... შენც წაგიყვან... - დაიბნა, აირია, სიტყვებს ვეღარ პოულობდა ქალი.

- დედაჩემი სად არის, ბაბო სად არის...

- დაწყნარდი, გენაცვალე, ცოტა წყალი მოსვი... კარგად უნდა გახდე. ალბათ ისინიც მოვლენ.

- ვინა ხარ?! - თვალები დაუწყლიანდა ანას.

- არ მიცნობ. აქაური ვარ. ნუ გეშინია, ცუდს არაფერს ვფიქრობ, დედის სულს გეფიცები. აი, ღვთისმშობლის ხატზე დავიფიცებ.

გოგონამ თვალები დახუჭა.

- ეზოს კარებთან დაჭრილი წევს...

- დაჭრილი?.. შენ საიდან იცი?

- კარებთან დაჭრილი წევს... იმან გადამარჩინა... წადით, უშველეთ... - ცრემლი მოერია ანას თვალში.

- რო შემოვედი, არავინ იწვა. ალბათ საავადმყოფოში წაიყვანეს. აუცილებლად უშველიან იქ. რამეს ვიპოვი, ცოტა საჭმელი მოგაღონიერებს, მერე წავიდეთ... ეს წამლებიც გვაქვს... - ქალი სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა.

ქალმა წვიმის წყალი მიაწოდა და წამოდგა. უნდოდა, რამე საჭმელი ეპოვა, ხილი მაინც. ვაშლები იპოვა. ხელით გაწმინდა. შუაზე გადაჩეხა, მერე კიდევ შუაზე, კანი შემოაცალა და პირთან მიუტანა.

გოგონა ვაშლს ჭამდა. ქალი სიხარულით აღარ იყო, მაგრამ იმაზე ფიქრი, როგორ უნდა გაეყვანა სამშვიდობოს, გულს უკლავდა. ახლა კართან მიცვალებულს რომ დაინახავდა, დაცხრილულს...

ნაშუადღევს უფრო გახშირდა მანქანების, ტანკების, „ბეტეერების“ ხმა. მიდიოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ თუ მოდიოდნენ და ისევ უკან ბრუნდებოდნენ, ვერ ხვდებოდა.

სახლის უკან გადაშლილ კედელთან ვაზს ესხა; ჭურვებს გადარჩენილიყო რამდენიმე ძირი. ახლავე მოვალო, ანას უთხრა და ფრთხილად გავიდა. შემოსულს გოგონა წამომჯდარი დახვდა. გამხდარ მხრებზე ბადრიჯნისფერი თმები ეყარა ტალღა-ტალღა. ზურმუხტისფერ თვალებში სიცოცხლე ჩასდგომოდა. ოდნავ ამობურცული ტუჩები გავარდისფრებოდა. გულზე საბნის ნაგლეჯს იფარებდა გამხდარი თითებით.

**გაგრძელება მე-12 გვერდზე**

## ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲤᲔᲠᲘᲡᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐ



მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაული 19 აგვისტოს აღინიშნება და იგი ერთ-ერთ განსაკუთრებულ სასწაულთაგანს უკავშირდება, რაც იესო ქრისტემ ამქვეყნად აღავლინა.

უფალმა ფერისცვალება იმისთვის ინება, რომ მოციქულებისა და ყოველი მორწმუნისათვის მომავალი ცხოვრების საიდუმლო ეჩვენებინა. გვასწავლა, რომ თითოეულმა ადამიანმა სიცოცხლეშივე უნდა დაიწყოს მზადება და შეუდგეს სულიერ ფერისცვალებას, რათა დაიმკვიდროს ღვთის სასუფეველი.

მაცხოვრის ფერისცვალების დღესასწაული თორმეტი უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულიდან ერთ-ერთია. უკავშირდება იესო ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ერთ-ერთ ცნობილ ეპიზოდს.

ახალი აღთქმის მიხედვით, იესო ქრისტემ თავის მოწაფეთაგან გამოირჩია პეტრე, იაკობი და იოანე და მათთან ერთად თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად. სანამ მაცხოვარი ლოცულობდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ. გაღვიძებისას ნახეს, რომ იესო ქრისტემ ფერი იცვალა: „და იცუალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი“ (მათე XVII, 2). ამ დროს მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით შემოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვართან იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ საუბრობდნენ, რომლებიც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და გაოგნებულმა პეტრემ უნებლიეთ წამოიძახა: „მოძღუარ კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, ერთი მოსესა და ერთი ელიაისა“ (ლუკა IX, 33). ამ სიტყვების თქმის შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგა მათ, ხოლო ღრუბლიდან მოისმა ხმა ღვთისა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ. მაგისი ისმინეთ“ (მათე XVII, 5). შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხვნენ, მათთან იესო მივიდა, ხელი შეახო და უთხრა: „აღდეგით და ნუ გეშინინ“ (მათე XVII, 7). როდესაც მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

## ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲝᲑᲐ

**ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი მრავალი დღესასწაულია მიძღვნილი, მათ შორის – მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა ან მარიამობა – ღვთისმშობლის მიცვალების დღესთან დაკავშირებული მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების დღესასწაული. მართლმადიდებლობაში შედის თორმეტ უდიდეს დღესასწაულთა სიაში. დღესასწაული აღინიშნება ძველი სტილით 15 აგვისტოს/ახ. სტ. 28 აგვისტოს.**

### ახალი აღთქმის ისტორია

ღვთისმშობლის მიძინებისა და დაკრძალვის შესახებ წმინდა წერილის კანონიკურ წიგნებში არაფერია ნათქვამი. იოანეს სახარების მიხედვით, ჯვარზე გაკრულმა იესო ქრისტემ იოანე მახარებელი ღვთისმშობელს აშვილა. იმ დღიდან მარიამი იოანეს სახლში ცხოვრობდა. ამის შემდეგ „საქმე მოციქულთა“ გვაუწყებს, რომ ღვთისმშობელი ლოცულობდა მოციქულებთან ერთად და სულთმოფენობის დღეს, მათთან ერთად მიიღო სულიწმიდას ნიჭი.

### საეკლესიო გადმოცემა

ამის შემდეგ ღვთისმშობლის მიწიერი ცხოვრების შესახებ ამბებს მხოლოდ საეკლესიო გადმოცემიდან ვიგებთ. კერძოდ, გადმოცემის თანახმად, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა ჰეროდე მეფის (აგრიპა I) მიერ ქრისტიანთა დევნის გამო, 43 წლის ასაკში, იოანე ღვთისმეტყველთან ერთად ეფესოს მიაშურა, იყო კვიპროსზეც — მკვდრეთით აღმდგარ ლაზარესთან, ქრისტიანობა იქადაგა ათონის წმიდა მიწაზე, ბოლოს კი, კვლავ იერუსალიმს დაუბრუნდა.

ღვთისმშობელი ხშირად ევედრებოდა უფალს, მალე მიეღო მისი სული სასუფეველში. და აი, ერთხელ, როცა მარიამი მაცხოვრის აკლდამაში ლოცულობდა, ცა გაიხსნა, გარდამოხდა გაბრიელ მთავარანგელოზი ხელში ზეთისხილის რტოთი და უბიწო ქალწულს ახარა: „გიხაროდენ მარიამ, რომელმან ჰშვენ ღმერთი ჩუენი, ლოცვა შენი აღვიდა წინაშე ძისა შენისა და შეწირულ იქმნა, ამიერიდგან დაუტევებ სოფელსა, ნეტარო, და ზეცასა აღხვალ!“ ღვთისმშობელი დიდად გაახარა ამ უწყებამ და მიცვალებისათვის მზადება დაიწყო.

მოციქულები ამ დროისათვის იერუსალიმში არ იყვნენ — სხვადასხვა ქვეყანაში ქადაგებდნენ, მაგრამ მარიამს ძალიან სურდა, ამსოფლიდან განსვლამდე ყველანი ერთად ეხილა. უფალმა ეს სურვილიც აუსრულა: მეყსეულად შემოჰკრიბა მასთან მაცხოვრის ყველა მოწაფე. ხუთი მათგანი მკვდრეთით აღმდგარიყო. მოციქულები მიესალმნენ მას და მოუთხრეს, თუ როგორ იქნენ აღტაცებულნი მოღვაწეობის ადგილებიდან. გახარებულმა უბიწო ქალწულმა მადლობა შესწირა ღმერთს, შემდეგ კი თავის მიცვალებაზე დაიწყო საუბარი. სწორედ ამ დროს, ასევე სასწაულებრივ, წარდგა მათ წინაშე პავლე მოციქულიც თავისი მოწაფეების თანხლებით.

**დასასრული მე-10 გვერდზე**

# ლარგვისი – ჩვენი სიამაყე და ტკივილი!

ვიტალი ქენქაძე
ისტორიკოსი

ქსნის ხეობის ბედ-უბედობაზე ფიქრისას, მახსენდება გიორგი საакაძის სიტყვები: „დიდკაცობას კაიკაცობა სჯობია, კაიკაცობას კი კარგი მამულიშვილობა“. საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ქსნის ხეობაში სხვადასხვა დროს ბევრ დიდკაცობას უცხოვრია და უტარებია წუთისოფელი. მათთან ფიქრით მიახლოებისას ნათლად იგრძნობა ხეობის ისტორიის სარბიელზე ნაკლებობა კარგი მამულიშვილებისა. გავუსწოროთ თვალი რეალობას!.. გავიდა ასი, ორასი წელი, არა და არ აღმოცენდა ღრმა და ნოყიერ ხნულში ისეთი მარცვალი, ვინც აღწერდა, შეისწავლიდა, გადაარჩენდა ქსნის ხეობის მდიდარ და მრავალფეროვან ისტორიას.

რა მდიდრები ვიქნებოდით ქსნელები პლატონ იოსელიანის, გიორგი ბოჭორიძის ან სოფრომ მგალობლიშვილისნაირი რომ გვყოლოდა. როგორ აჩოლყილნი დაიშრიტნენ ქსანზე ნიჭიერი, ძირძველი საგვარეულონი: ერისთავები, ჟურულები, რატიშვილები, კორინთელები, ყანჩაველები, ორბელიანნი და სხვანი. მხოლოდ მოკრძალებულად გაანათა მოქუფრული ცა ამბიციურმა დოსითეოზ ფიცხელაურმა, თუმცა ვერაფერი კარგი მამულიშვილობა ვერ გაუწია თავის ქსნის ხეობას. საქართველოს პირველმა ეგზარქოსმა ვარლამ ერისთავმაც ვერ უმწყემსა და ვერ უპატრონა თავის დაფანტულ ცხვრის ფარას, რომლის ერთ-ერთი მონაპირე ნოტო ქსნის ხეობა იყო.

საუკუნეების მანძილზე ქსნის ხეობის ისტორიის კვანძს ლარგვისი წარმოადგენდა თავისი სამონასტრო და თავდაცვითი-საფორტიფიკაციო კომპლექსით. ის გულდასათუთქი ამბავიც, რომელიც დიდი რუსეთის ჩვენდამი „მეგობრობას“ უკავშირდება, ქართული ბედოვლათობის წყალობით ლარგვისის მონასტერში მოხდა. 1877 წელს ლარგვისის არაადგილობრივ სამღვდელოებას წარმოადგენდა მღვდელი მაისურაძე, მედავითნე-დიაკვანი ჯაში და მნათე როსტომ ზარიძე (ეს უკანასკნელი ადგილობრივი). ამ თარიღიდან 18 წლის გასვლის შემდეგ დიაკვანი ჯაში ასეთ რამეს უყვება თავის შვილს:

„მონასტერში ერთხელ მოვიდა ამბავი, რომ ეგზარქოსი რუსი ევსეი დაიარება რევიზიაზე და მონასტერშიც აპირებს მოსვლასო. ამ ხმებს თან მოჰყვა, რომ ეგზარქოსს ძველი ნაწერები (გუჯრები), ხატები და სხვა ნივთები ძალიან ეჯავრებაო და სადაც ძველ რამეებს ნახავსო, იმ ეკლესიის მღვდელ-დიაკვანს უეჭველად გააუბედურებსო.

რადგანაც ლარგვისის ეკლესია სავსე იყო ძველი რაგინდარით, ამისთვის ამ ამბავმა ძალიან შეგვაშინა და გადავწყვიტეთ შემდეგი: ძველი ფიცრის ხატები დაგვეწვა და ნაცარი ქსანში ჩაგვეყარა, ხოლო ძველი წიგნებისთვის და სხვა ნივთებისთვის გაგვეთხარა ორმო და შიგ ჩაგვეყარა. ასეც მოვიქეცით...“

ამის შემდეგ გაირკვა, რომ ევსეი ლარგვისში ცუდი გზის გამო აღარ შეწუხებულა, დამარხულ 1000 წლოვან და უფრო კიდევ ხანიერ უძვირფასეს განძისთვის, ერთმორწმუნე რუსის შიშის გამო ორმოდან ამოსაღებად, ხელი აღარავის დაუკარებია!!!

ასეთი ბედოვლათობის წყალობით დავკარგეთ დღეს ესოდენ საჭირო, მდიდარი განძი. მაინტერესებს, მაისურაძეს და ჯაშს გაგონილი მაინც თუ ჰქონდათ კველთელი მღვდლის ამბავი? ან ადგილობრივ როსტომ ზარიძეს რამ შეაყვარა სამშობლოზე მეტად საკუთარი ტყავი?!

გთავაზობთ ლარგვისელ მხატვარ-მწიგნობრის მეთხუთმეტე საუკუნის ნახატებს.





# შოვის ტრაგედია

2023 წლის 3 აგვისტოს, 16:00 საათზე, ონის მუნიციპალიტეტში, კურორტ შოვის ტერიტორიაზე ჩამოწვა გლაციალური ღვარცოფი, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. ბოლო მონაცემებით, ნაპოვნია 31 ადამიანის ცხედარი მათ შორის – ქალების და ბავშვების. 2 მცირეწლოვანი ამ დრომდე იძებნება.

ეს დედა-შვილი დადიანელი გივი ბერიანიძის

ცოლ-შვილია. ფოტო შოვის ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრეა გადაღებული... პატარა გიორგი სწორედ ამ დღეებში 5 წლის უნდა გამხდარიყო... დედამისი, მანანა კი, რომელიც 15 აგვისტოს დაკრძალეს, ორმოცისაც არ იყო... ბავშვი ბებიასთან და დედასთან ერთად ისვენებდა შოვში. სამივე ამ ტრაგედიას ემსხვერპლა.

გარემოს ეროვნული სააგენტოს პირველადი დასკვნის მიხედვით, ტრაგედიის მიზეზი გახდა რამდენიმე სტიქიური გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენის თანხვედრა, რამაც მდინარე ბუბისწყლის ხეობაში ექსტრემალური ხასიათის ღვარცოფული ნაკადის ფორმირება გამოიწვია.

როგორც დასკვნაში წერია, მართალია, მეწყრული პროცესების ფორმირება მრავალი ფაქტორის თანხვედრამ გამოიწვია, თუმცა უშუალოდ ტრაგედიის დღეს მომხდარი სტიქია მყისიერად განვითარდა. დასკვნის თანახმად, არ დასტურდება გავრცელებული მოსაზრება, თითქოს სტიქიის განვითარებამდე ცოტა ხნით ადრე მდინარე ბუბას ხეობაში წყალი დაგუბდა.

ანგარიშში ნათქვამია, რომ მეწყრულ პროცესებს ხელი შეუწყო კლიმატურმა ცვლილებებმა — ბოლო პერიოდში მომატებულმა ჰაერის ტემპერატურამ გამოიწვია მყინვარების ინტენსიური დნობა და ჭარბი ატმოსფერული ნალექი.

3 აგვისტოს მომხდარი სტიქია თავისი მასშტაბით უპრეცედენტოა დასავლეთ საქართველოსთვის.

# მარიამობა

**მე-8 გვერდიდან**

მარიამი სახელებით უხმობდა ყველას, ქებას ასხამდა მათ სარწმუნოებას და აკურთხებდა. შემდეგ წმიდა დედა იაკობ მღვდელმთავრის ხელით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ეზიარა. მესამე ჟამს (დაახ. საღამოს 9 საათი) — ღვთისმშობლის ამსოფლიდან გასვლისას საოცარი ნათლით გაბრწყინდა ის ოთახი, რომელშიც იგი იწვა, „იქმნა დიდებით განსაკვირვებელი მოსლვა ქრისტეს ღვთისა და ძისა მისისა დიდებითა მით გამოუთქმელითა“. **იესო ქრისტემ თავისი მშობლის წმიდა და ყოვლად უბიწო სული „საღმრთოთა მათ და უხრწნელთა მკლავთა თვისთა ზედა მიირქუა“ და ანგელოზთა გალობის თანხლებით აამაღლა ზეცად.**

მთელი სახლი საოცარი სურნელებით აივსო. მოციქულები კრძალვით მიეახლნენ ნათელშემომდგარ წმიდა ცხედარს, შემოკრბენ „სნეულნი და არა ძლებულნიც“ და მრავალი სასწაულებრივი კურნება აღესრულა. ქრისტეს მოწაფეებმა ღამე ლოცვაში გაათიეს და პარასკევ დილით ღვთისმშობლის პატიოსანი ნეშტი სიონიდან გეთსიმანიაში გადაასვენეს.

ყოვლადწმიდა მარიამის მიძინებას ერთი ათორმეტთაგანი — თომა ვერ შეესწრო. ღვთის განგებით, იგი სწორედ კვირა ღამეს მივიდა გეთსიმანიაში და ღვთისმშობლის გარდაცვალებით შეწუხებულმა, ითხოვა, საფლავი გაეხსნათ, რომ წმიდა გვამისთვის თაყვანი ეცა. კარი მართლაც გააღეს, მაგრამ აკლდამა ცარიელი დაუხვდათ. მაშინ, ერთი ცნობით, „გამობრწყინდა ნათელი ბრწყინვალე, წინაშე კიდობანსა მას, ვითარცა ხორცითა და ჩვეულებისაებრ მდგომარე იხილეს წმიდა ღვთისმშობელი და თაყუანისცეს“. სხვა წყაროთა მოწმობით, ყოვლადწმიდა მარიამი მაშინ გამოუჩნდათ გაოცებულ მოციქულებს, როცა შინ დაბრუნდნენ და ტრაპეზს შემოუსხდნენ. ღვთისმშობელმა მათ მიმართა: „გიხაროდენ! მე თქვენთანა ვარ ყოველთა დღეთა შინა“.

...ღვთისმშობელმა იცოცხლა 72 წელი და გარდაიცვალა დაახლოებით ქრისტეს დაბადებიდან 57 წელს, როგორც ამას ეპიფანე კვიპრელი და გიორგი კედრენე გადმოგვცემენ. მათ ეთანხმებიან წმ. ანდრია კრიტელი და სიმეონ მეტაფრასი, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ მარიამმა სიბერემდე იცოცხლა.

ზუსტად უცნობია, თუ როდის დაწესდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული, მაგრამ საფიქრებელია,, რომ იგი უკვე არსებობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში. წმინდა მამათა ნაშრომები, სადაც ღვთისმშობლის მიძინებაზეა საუბარი, IV საუკუნის ბოლოს არ სცილდება. ამათგან ერთ-ერთი ნეტარ იერონიმეს მიეწერება. სხვა ცნობა, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, იერუსალიმის ეპისკოპოს მოდესტოსს ეკუთვნის.

ცნობილი საეკლესიო მოღვაწე ნიკიფორე კალისტოსის (გ. დაახ. 1350) ცნობით, მიძინების დღესასწაულის აღნიშვნა მავრიკიოსის (დაახ. 539–602) მეფობის დროს, 582 წელს დაწესებულა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ მავრიკიოსის დროს უკვე არსებული დღესასწაულის აღნიშვნა დაკანონდა. ამ ცნობის მიხედვით, 595 წლიდან დღესასწაულის აღნიშვნა დაწესდა 15 აგვისტოს, ამ დღეს მავრიკის სპარსელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

## მურაზ შერმადინი

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ლარგვისის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული მურაზ შერმადინი.

წავიდა ამ ქვეყნიდან ჩვენი კოლეგა, მეგობარი, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და გულის ტკივილად დაგვიტოვა მარადიული ხსოვნა.

ძნელია, დაემშვიდობო კაცს, ვინც წლების მანძილზე ჩვენ გვერდით იყო. ერთგულად, მაღალი პასუხისმგებლობით, შინაგანი გულისხმიერებით ემსახურებოდა ხალხს. ჩვენთან ერთად გამოიარა ის მძიმე წლები, 2008 წლის ომმა და შემდგომმა დრომ გაუსაძლისი რომ გახადა ჩვენი ყოფა.

მშვიდობით, მეგობარო! ახალგორის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისთვის ყოველთვის დარჩები ერთგულების, მაღალი პასუხისმგებლობის, პროფესიონალიზმის, მოყვასის სიყვარულის სიმბოლოდ... შენს სახელს დავიწყება არ უწერია... მშვიდობით...

**ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა**

## მამია ქუტაშვილი

ილია ბრძანებდა, „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო“, რაშიც იმ სიბრძნეს გულისხმობდა, რომ ცოცხალსაც კარგი სახელი უნდა ჰქონდეს და იმ ქვეყნად წასვლის შემდეგაც კარგი სახელი უნდა დატოვოს...

მამია ქუტაშვილს, მართლაც, მეორე სახელად მარადიული ხსოვნა და არდავიწყება ექნება არამარტო ოჯახისა და ახლობლებისთვის, არამედ მათთვისაც, ვისთანაც მუშაობდა, ვისთან ერთადაც გაატარა სხვადასხვა დროს ცხოვრების წლები. სამსახური მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, გულიანად ირჯებოდა ყველა პოზიციაზე, კოლეგებსა პატის სცემდა და საზოგადოების ღირსეული წევრიც იყო.

მამია ქუტაშვილი დაიბადა 1959 წელს სოფელ წირქოლში, 10 წელი იმუშავა კავშირგაბმულობის რაიონულ კვანძში, შემდეგ – ახალგორის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებაში. პენსიაში გასვლის შემდეგ მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ არჩევნებში და გახდა ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მამია ქუტაშვილს დარჩა შესანიშნავი ოჯახი, მეუღლე მაია კიბილოვა, ორი შვილი – ნესტორი და თამარი და ხუთი შვილიშვილი.

მათთან ერთად, ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები პატივს მიაგებენ ყოველთვის მის ხსოვნას.

გემშვიდობებით, ჩვენო საუკეთესო მეგობარო, კოლეგა, მრჩეველო, კეთილშობილო, მტკიცე და უღალატო ადამიანო. შენი ამ ქვეყნიდან წასვლით ჩვენს ხსოვნაში დაიდე სამუდამო ბინა. ახლა უკვე ტკივილიან მოგონებებში იცოცხლებ მარადიულად.

**ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა**

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება

**მამია ქუტაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო და ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობა მწუხარებით იუწყება

**ჯარჯი სუხაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ახალგორის რაიონის ვეტერანები ღრმა მწუხარებით უსამძიმრებენ ვეტერანთა ორგანიზაციის ხელმძღვანელს ჯემალ სუხაშვილს შვილის **ჯარჯი სუხაშვილის** გარდაცვალების გამო.

## ჯარჯი სუხაშვილი

ახალგორელებს ერთი კარგი ახალგაზრდა კაცი ჯარჯი სუხაშვილი გამოგვაკლდა... ის სამუშაოდ მიდიოდა ისრაელში, უდაბნოს გზით უნდა გადასულიყო, იორდანიის გადაკვეთით, მაგრამ სიცხეს ვერ გაუძლო, გაუწყლოება დაემართა, ამასთან ერთად უჰაერობა და გული გაუჩერდა. ეს ექიმების დასკვნაა...

პატარა ბიჭი იყო, როცა ქსნის ხეობა დატოვა სამუდამოდ... სულ ენატრებოდა, ეფიქრებოდა, სახლში დაბრუნების იმედს არ კარგავდა...

ლექსებს წერდა თურმე... ჯერ ვერ მოხერხდა მისი ლექსების გამომზეურება... მეგობრებმა ერთი ლექსი დადეს სოციალურ ქსელში – ტკივილით, უცნაური წინათგრძნობით აღსავსე:

**„...არ ვახსენებ მე ჩემს ცოდვებს,**
**არ ვეძახი ღმერთს,**
**ეს თუ მოსახდენია და**
**დაე, მოხდეს დღეს!..**
**დავასრულე განტოლება**
**ცხოვრების და წლის,**
**არ მაშინებს ეს წუთები,**
**უფრო მეტად მღლის,**
**მე შენს თვალზე წარმოშობილ**
**ცრემლებს ველარ ვწყვეტ,**
**სიკვდილს ლაღად გავუღიმებ,**
**ჩავბარდები ტყვედ...“**

ეს სტრიქონები შარშან დაუწერია და ვაგლახ... იქნებ მართლაც გაუღიმა სიკვდილს სამშობლოდან შორს...

ნათქვამია: „სიკვდილმაც იცის არჩევანი, საოცრად იცისო“ და კარგი ვაჟკაცი, ნიჭიერი, გულიანი, ქსნის ხეობის მოყვარე და მარადიულად მოტრფიალე წაგვართვა ახალგორელებს...

ჯარჯი ქანდის მარადიულ სამყოფელში განისვენებს, სადაც ხეთა ფოთლები და ყვავილებიც კი დასტირიან ძმის თომას, დედის მაიას, მამის ჯემალის, მამიდა ირმას და ნათესავ-ახლობლების ხმით...

ჯარჯი სუხაშვილმა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლით უსაშველო სევდა და მარადიული ხსოვნა დაგვიტოვა...

# წმინდა გრიგოლ ფერაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სპექტაკლი დევნილი მოსახლეობისათვის

გრიგოლ ფერაძე 1918-1921 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სტუდენტი. იგი თეოლოგიური ცოდნის მისაღებად, 1921 წელს საქართველოს საეკლესიო კრებამ, გერმანიაში გაგზავნა, სადაც ფილოსოფიის დოქტორი გახდა. იგი ქართული ეკლესიის ისტორიაზე ლექციებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში კითხულობდა, იყო ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორი. 1929 წელს ქართული დიასპორის თხოვნით ევროპაში პირველი ქართული მართლმადიდებელი წმინდა ნინოს ეკლესია დააარსა. 1931 წელს კი ბერად აღიკვეცა. მას კომუნისტურმა მთავრობამ საქართველოში დაბრუნების უფლება არ მისცა, ამიტომ სიცოცხლის ბოლო წლები პოლონეთში გაატარა. ფაშისტური გერმანიის პოლონეთში შეჭრის შემდეგ, გრიგოლ ფერაძე დაიჭირეს და ოსვენციმის ტყვეთა საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს. გრიგოლ ფერაძე 1942 წლის 6 დეკემბერს საკონცენტრაციო ბანაკში გარდაიცვალა. იგი სხვა ადამიანის მაგივრად შევიდა გაზის კამერაში. 1995 წლის 17 სექტემბერს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე წმინდანად შერაცხა.

22 აგვისტოს სწორედ გრიგოლ ფერაძისადმი მიძღვნილი მინი სპექტაკლის სანახავად მივიდა მაყურებელი წეროვნის კულტურისა და დასვენების პარკში.

სპექტაკლის შემდეგ მაყურებლის წინაშე წარსდგა ჯგუფი „დიქსი ლენდი“ კაკო ვაშალომიძის ხელმძღვანელობით.

პროექტის სპონსორია საქართველოს საპატრიარქო და ეძღვნება კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო თარიღს.

## საბა ქასოშვილმა კიდევ ერთი ოქროს მედალი მოიპოვა

2023 წლის 28 აგვისტოს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მჭადიჯვარში მარიამობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ქართული ჭიდაობის ტურნირი გაიმართა, სადაც ჩვენმა საბა ქასოშვილმა შესანიშნავად იჭიდავა და ოქროს მედალი მოიპოვა 45 კგ-მდე წონით კატეგორიაში, რითაც კიდევ ერთხელ გაახარა გულშემატკივრები.

ვულოცავთ საბას მორიგ გამარჯვებას!

## დაცხრილული მზე

მე-7 გვერდიდან

ქალმა ყურძენი მიუტანა და წინ დაუჯდა.

- სად იპოვე?

- აქვე, ამ სახლის უკან.

- ეგ ყურძენი ოსებისაა. ოსები ცხოვრობენ. არამც და არამც არ წავიდნენ ცხინვალში... მე..ეც ოსი ვარ...

გოგონამ თავი დახარა. ყურძენს მიაშტერდა.

- რა გვარები ხართ?

- პაპაჩემი ოსებმა მოკლეს თურმე. ბაბო სუ წყევლიდა. ზვიადის სურათი რად გიკიდიათო სახლში.

- რა გვარის ქალია დედაშენი?

- ქართველია, ქრისტესიაშვილი...

- ქრისტესიაშვილი?

- კი.

- ჭამე, ჭამე, მერე ვილაპარაკოთ.

- რო მოვკვდე?

- ნუ გეშინია. არ მოკვდები. დღესაც დავრჩეთ აქ და დილაზე ადრიანად წავიდეთ.

- სად?

ქალს ვერ წარმოედგინა აქედან გაღწევა. ჩემი თავი ჯანდაბას, ბავშვი როგორ გავიყვანოო, ფიქრობდა, მაგრამ გასამხნევებლად მაინც უთხრა:

- თბილისში წაგიყვან. გიყვარს თბილისი?

- ერთხელ ვიყავი... ექსკურსიაზე. ერთხელ დედამ წამიყვანა ექიმთან... საიდან უნდა მიყვარდეს?

- მაშ არ წამომყვები? - ლოყაზე ხელი მოუსვა ქალმა, - მერე შენიანებს ვიპოვით.

- რო ვერ ვიპოვოთ? მარტო არ დამტოვო, გეხვეწები. მამაჩემი ომშია. დედა და ბაბო მოკლეს ალბათ... მეტი არავინა მყავს.

- მამაშენი რა გვარია, აუცილებლად ვიპოვით.

- კაბისაშვილი.

- აკი ოსი ვარო?

- მამაჩემს ეუბნებოდნენ, თუ ოსი ხარ, რატო კაბისოვი არა ხარო... ოსური ლაპარაკი რატო არ იციო. შენ სუ ქართველების მხარეზე ხარო.

- მამაშენი რაღას პასუხობდა?..

- ოსი ვარ, მაგრამ ქართული გვარი მაქვს, ასე მოვდივართ მამა-პაპიდანო. დედა ქართველი მყავს, დედას ვუღალატებ თუ მამას, სულ ერთი არ არისო? ჩემთვისა ვარ, ჩემი სამშობლო საქართველოაო. მამაჩემის ძმა იყო მოსული მანქანით, სანამ დროა, ჩაიცვით და წამოდითო. ბაბომ თავი გაიკლა, ვის რას ვუშავებთ, ცოცხალი თავით აქაურობას არ დავთმობო.

**დასასრული იქნება**